ანაკლიის ნავსადგურის პირადი ფონდი

~~34~~ 274

287 1 274

287 1 274

დასკანირებულია 17.01.25 (18)

„ქუთაისი", 1963, №186, 21/IX

ჩვენი პატრიოტები

გიორგი მსხილაძე

მასწავლებელი და მეგობარი. — აი, როგორი დარჩა გიორგი მსხილაძე ჩვენი თაობის ცნობიერებაში. იგი იყო შეუდარებელი ოსტატი და მუდამ მაძიებელი, სპეტაკი და ალალი მოკალაქე.

აი, მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები:

გ. მსხილაძე დაიბადა 1910 წელს ჭ. ქუთაისის გუბერნიის სოფ. ფარცხანაყანებში. მისი მამა სიმონ ნიკოლოზის ძე და დედა ვასილი მიხეილის ასული ფხაკაძე-მსხილაძისა ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. გიორგის მამა ადრე, 1915 წელს გარდაიცვალა.

1926 წელს გ. მსხილაძემ დაამთავრა მეორე ცხრაწლიანი შრომის სკოლა პედაგოგიური განხრით. 1928 წელს მან მუშაობა დაიწყო სოფ. ხარწირის 7-წლიან სკოლაში მეოთხე კლასის მასწავლებლად. 1929 წლიდან 1934 წლამდე გ. მსხილაძე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ტყიბულის პირველ ათწლედში. შემდეგ კი, 1939 წლამდე მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ლაგოდეხის პედაგოგიურ ტექნიკუმში, თანაც ხელმძღვანელობდა იმავე რაიონის პედაგოგიურ კაბინეტს.

გიორგი მსხილაძემ დიდი ხნის შემდეგ განაგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. 1938 წელს იგი შევიდა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსრულებელ განყოფილებაზე. რომელიც დაამთავრა 1942 წელს. ხოლო სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა 1945 წელს. უფრო ადრე (1939-1940 წლებში) გ. მსხილაძე მუშაობდა ლენტების განათლების განყოფილებაში ჯერ სასკოლო ინსპექტორად. ხოლო შემდეგ — ლენტების საშუალო სკოლის დირექტორად.

1940 წლიდან გიორგი (ყორა) მსხილაძე განუწყვეტლივ მუშაობდა ქუთაისის სხვადასხვა სკოლებში, აგრეთვე პედაგოგიურ კაბინეტში ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტად. 1953 წლიდან გ. მსხილაძე მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგედ. ამავე დროს კითხულობდა ლექციებს დაწყებითი სკოლებისა და მე-5. მე-11 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკაში.

გ. მსხილაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით. იგი 1958 წელს, 8 თებერვალს, 48 წლის ასაკში გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. დასაფლავებულია ქუთაისში ოღასკურის სასაფლაოზე.

გ. მსხილაძე დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა მოსწავლეებში, მასწავლებელთა და ლიტერატორთა წრეში. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მგზნებარებითა და შრომისმოყვარეობით, ითვლებოდა საუკეთესო მეთოდისტად. საუცხოოდ იყო დაუფლებული პედაგოგის პროფესიას, თავის მდიდარ გამოცდილებას დაუღალავად გადასცემდა მასწავლებელთა ფართო წრეებს, ითვლებოდა მოწინავე მასწავლებლად და ხელმძღვანელად. გულისხმიერად ეპყრობოდა მასწავლებლებს, აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში. მისი აღზრდილები დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებენ საყვარელ მასწავლებელს.

უ. მსხილაძის არქივში ახლაც მრავლადაა დაცული მისი ყოფილი მოსწავლეებისაგან მიღებული მადლობის გამომხატველი სიტყვები, აი, რას წერდა 1948 წლის 21 მაისს მისი ყოფილი მოსწავლე ნინო ბოფაძე ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბნიდან:

„ძვირფასო მასწავლებელო! ალბად გახსოვთ ლაგოდეხი, რომელთანაც გაკავშირებთ რამდენიმე წლის სიახლოვე. იქნებ მოგაგონდეთ პედაგოგიური ტექნიკუმის პატარა მოსწავლე, რომელიც მერხზე ძლივს ჩანდა. ნინოს რომ ეძახდით. მე კი, ძვირფასო ალმზრდელო, არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი კეთილი ბუნება, თქვენი რჩევა-დარიგება. ვდრე ვიცოცხლებ, მუდამ თვალწინ მეყოლება. ცხრა წელიწადი გვაშორებს ჩვენ ერთმანეთისაგან. მე კი ახლაც მესმის თქვენს მიერ წარმოთქმული მგზნებარე სიტყვები. ადრე დაობლებულს ოჯახის მთელი სიმძიმე თავს დამატყდა. მშობლები გარდამეცვალა, დაძმანი აღზრდა მე დამეკისრა, მაგრამ სწავლის სიყვარული არ ჩამქრობია. 8 წელია ვეწევი პედაგოგიურ მუშაობას, მთელი ენერგიით ვმუშაობ ახალი თაობის აღსაზრდელად. ვასწავლი მათემატიკას რვაწლიან სკოლაში. უსაზღვროდ მიყვარს მხატვრული ლიტერატურა. ყველას უკვირს ჩემი ერთდროული მისწრაფება ამ ორი საგნისადმი. ვეცდები არ შეგარცხვინოთ. პატარა ნინოს ამჟამადაც სახელის მეტი სხვა ღირსება არ დარჩენია.

საყვარელო ალმზრდელო! მიიღეთ ჩემგან მხურვალე სალამი და კეთილი სურვილები! სულ მუდამ იყავით კარგად, ჯანმრთელად, იცოცხლეთ მრავალჟამიერ!"

ეს იყო პედაგოგ გ. მსხილაძის დაუფასებელი სიმდიდრე.

გ. მსხილაძე სისტემატურად ზრუნავდა თავისი საკუთარი ცოდნის სრულყოფისათვის. მან წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი თბილისში პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში და ემზადებოდა საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად. უმძიმესმა სიკვდილმა უდროოდ შეწყვიტა მისი კეთილშობილური სურვილების განხორციელება. გ. მსხილაძის გარდაცვალების შემდეგ, 1958 წელს, უფრო ადრე „კომუნისტური აღზრდისათვის" გამოქვეყნდა მისი სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაკვეთი — ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის სწავლებისათვის.

გ. მსხილაძეს მზად ჰქონდა მთელი რიგი გამოკვლევები ი. გრიშაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა აკაკი თოფურიამ თავის ორტომიან შრომაში „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" დიდი ადგილი დაუთმო გიორგი მსხილაძის მუშაობის დახასიათებას. იქ, სადაც ის ეხება მწერლის ბიოგრაფიის სწავლების საკითხს უფროს კლასებში. აღნიშნავს გ. მსხილაძის შრომის ამ ნაწილს და წერს:

„საბჭოთა ეპოქის ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების სწავლებისას აუცილებელი ხდება სახელმძღვანელოს ხარვეზების შევსება დამატებითი წყაროებით. ასეთი შევსებისა და ძიების მისაბაძი მაგალითია მოცემული გ. მსხილაძის მეთოდიკურ ნარკვევში „იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის სწავლებისათვის", რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის". რით იქცევს ეს წერილი პირველ რიგში უურადღებას?

სიახლის გრძნობით, მასალათა დაგროვების, სისტემატიზირებისა და კონკრეტიზაციის ორიგინალობით, მოსწავლეთათვის ამ მასალათა მიწოდების საინტერესო ხერხების გამონახვით, ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის სწავლების აღმზრდელობითი მიზნების მკვეთრად გამოყოფითა და მისი სწორი გზის ჩვენებით. ამ წერილში მასწავლებელი იპოვის იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი გზის დახასიათებისათვის მოხერხებულად გამოიყენოთ თვით ამ მწერლებისავე ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები, წერილები და დღიურები, ფსევდონიმები და ქარაგმები (მარტო ი. გრიშაშვილის 30-მდე ფსევდონიმის ამოხსნა და პუბლიკაცია რად ღირს!). მათდამი მიძღვნილი საიუბილეო მასალები, მოგონებები, ლექსები" და ა. შ. რა მადლიანი მასალები და უხვი წყაროები იყო მის ხელთ! რა ბევრს შეისძენდა იგი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას! რაოდენ სასარგებლო იქნებოდა იგი ჩვენი თაობისათვის, განსაკუთრებით პედაგოგ-ლიტერატორთა საზოგადოებისათვის.

სხვა მრავალთა შორის ჩვენს წინ ძევს 1951-1953 წლებში უ. მსხილაძის მიერ შესრულებული სამი მეთოდური ეტიუდი „მასალები ი. გრიშაშვილის ბიოგრაფიის შესწავლისათვის", რომელიც მკვლევარმა წაიკითხა ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, ცხაკაიასა და ცაგერის რაიონების სკოლების მასწავლებელთა შეკრებებზე. ეს გამოკვლევები უხვ მასალებს მოიცავენ ჩვენი ეპოქის საუკეთესო პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და მისი სწავლების საკითხებზე. მასში ჩანს ავტორის ღრმა ცოდნა და მასალის სისტემატიზაციის საუკეთესო უნარი. უ. მსხილაძემ მათში წარმოადგინა მდიდარი საარქივო მასალები, სათანადო ანალიზი გაუკეთა მათ და შიაწოდა მკითხველებს. უ. მსხილაძემ მზა სინათლეზე გამოიტანა ი. გრიშაშვილის ცხოვრება—შემოქმედებასთან დაკავშირებული, მრავალი მტკვერწაყრილი ფოლიანტი, რომელთა არსებობა თვით პოეტ ი. გრიშაშვილისათვისაც კი დავიწყებული და უცნობი იყო. გ. მსხილაძე წლების განმავლობაში სწავლობდა ი. გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო მომენტებს, მთელი დღეების განმავლობაში მუშაობდა ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკასა და პირად არქივში.

მეგობრობაში თავდადებული, პედაგოგიურ შრომაში ანთებული, ლიტერატურული საკითხებით აღფრთოვანებული მუდამ ვაჟკაცურად იბრძოდა და ქალმითაც ისეთივე პირდაპირი იყო, როგორც მრავალრიცხოვან მეგობართა შორის...

დაკვირვების ნიჭი, ღრმა ერუდიცია, თხრობის ორიგინალური მანერა და ენის ფაქიზი სისადავე — აი, რა ახასიათებდა ყორას. იგი ფართო მასშტაბის პედაგოგი-ლიტერატორი იყო, ამავე დროს იგი იყო ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის პატრიოტი.

ზოგიერთი რამ შეიძლება სადავო იყოს მის სიტყვებსა და ნაწერებში, მაგრამ არ იყო სადავო ამ თავისებური პედაგოგის ინტელექტი. ბევრს ხიბლავდა მისი ცეცხლოვანი სიტყვა, შინაგანი ელვარება.

პ. ხმალაძე.

საზღვარგარეთის კინოქრონიკა

„სიკვდილის უელსაბამი“

ინგლისი. ა. კონან-დოილის მოთხრობების ეკრანიზაცია დაიწყო პირველ-ერთმა ინგლისურმა კინოფირმამ. ამ სერიის პირველ ფილმს „სიკვდილის უელსაბამი“ დგამს ლეონისორი ტერენს ფიშერი. შერლოკ ჰოლმსის როლს ასრულებს კრისტოფ ლი, ექიმ ვათსონისას — ენორლი უილტერსი.

„თაბრუ“

ჩეხოსლოვაკია. რესპუბლიკის პრესამ მაღალი შეფასება მისცა კარელ კახინის ახალ მხატვრულ ფილმს „თაბრუ“. იგი მიძღვნილია ჩვიდმეტი წლის ჭაღიშვილებისა და ჭაბუკების ცხოვრებაში გამოსვლის პრობლემებისადმი.

ნორჩი მეგაღე

ფოტო ო. ბერეჩიკიძისა.

...ხრის შხამი

...ენობას, რომელიც როგორც ცნობილია, დიდ როლს ასრულებს ათეროსკლეროზის განვითარებაში. ფუტკრის შხამი ძლიერ კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა წარმატებით გამოვიყენოთ ფუტკრის შხამი მრავალი დაავადების საწინააღმდეგოდ. იგი ხშირად ეხმარება რევმატიზმით, ნევრიტებით, ჰიპერტონიითა და სხვა ავადმყოფობით დაავადებულებს.

— შეუძლია თუ არა ავადმყოფს დამოუკიდებლად, ე. ი. ექიმის გარეშე გამოიყენოს ფუტკრის შხამი?

— თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რომ ავადმყოფებს შხამს მიიღებინებენ უპირატესად თვით ფუტკრების დახმარებით, როცა ისინი იკბინებიან. ამისათვის საჭიროა ერთგვარი მოხერხებულობა. გარდა ამისა, დიდი დოზით შხამი იწვევს მოშხამვას. ერთი სიტყვით, გართულების თავიდან ასაცილებლად ამ საშუალებით ავადმყოფს უნდა უმკურნალოს ექიმმა. თვითეულ შემთხვევაში ექიმი სწორად არჩევს კანის უბანს, სადაც ფუტკარი შეიყვანს თავის ნესტარს, ამისგან კი დამოკიდებულია მკურნალობის წარმატება.

ზოგიერთი გადამეტებით შიშობს, რომ ეს საშუალება ავადმყოფის ორგანიზმზე დადებითად არ მოქმედებს. უნდა ითქვას, რომ სამკურნალო და სასიკვდილო მოშხამვის დოზებს შორის განსხვავება უზარმაზარია. ადამიანები ძლიერ იშვიათად იშხამებიან ფუტკრის გესლით. ასე შეიძლება მოხდეს უმთავრესად ფუტკრის შხამისადმი განსაკუთრებული ამღლებული მგრძნობიარობის შემთხვევაში.

— სად მკურნალობენ ფუტკრის შხამით?

— ფუტკრებს საკმაოდ ფართოდ იყენებენ სამკურნალოდ მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, კიევის, ხარკოვის, სოხუმის, მინსკის, კუიბიშევის, ლიპეცკის, ოდესის, ყაზანის, კრასნოიარსკის, ღვოვის, ირკუტსკის, ხაბაროვსკის და მთელი რიგი ქალაქების სამედიცინო დაწესებულებებში. ყველა ადგილების ჩამოთვლა ძნელია. და ეს არც არის გასაკვირველი. ფუტკრის შხამი სახალხო მოხმარების საშუალებიდან ამჟამად მეცნიერულად დასაბუთებულ საშუალებად იქცა, რამაც ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა კავშირსა და შორს, მის საზღვრებს

სიცოცხლე გადარჩენილია

15 სექტემბერს დილის 10 საათსა და 30 წუთზე კიროვისა და გ. ტაბიძის ქუჩების გადაკვეთასთან მდებარე სასადილოს წინ მოძრავ ტროლეიბუსს გზა გადაუჭრა 8-9 წლის ბიჭუნამ. მანძილი ტროლეიბუსსა და ბავშვს შორის იმდენად მცირე იყო, რომ ამ სურათის დამნახველი ვერ იფიქრებდა მის გადარჩენას. ამას ისიც დამატა, რომ შეშინებულმა ბავშვმა წაიფორხილა და დაეცა. ბევრმა თვალებზე ხელი მიიფარა, მაგრამ მოხდა სასწაული... მანქანა ადგილზე გაქვავდა. ბავშვსა და მანქანას შორის მანძილი 5-10 სანტიმეტრიღა იყო დარჩენილი. როცა გაოგნებული ხალხი გონს მოვიდა, მისცვივდნენ ბავშვს და მძღოლსაც ულოცავდნენ საბედისწერო შემთხვევიდან გადარჩენას.

ეს იყო ტროლეიბუსის მძღოლი გიორგი იოსების ძე გიორგიაშვილი, რომელიც 1949 წლიდან, ე. ი. ტროლეიბუსის სამმართველოს დაარსების დღიდან მუშაობს აქ და გამოირჩევა ენერგიული შრომით, მოსაზრებულობითა და სიფხიზლით.

დ. სვანაძე.

პრემიერა „თეთრი ჩრდილები“

დღეს, 21 სექტემბერს, ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, მიუძღვნის უჩვენებს ო. ჩიჯავაძის დრამას „თეთრი ჩრდილები“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თ. მესხს, მხატვრულად გაფორმა შ. ხუციშვილმა, მუსიკა — ს. ნასიძის, დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. მარჯანიშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. გვენცაძე, ქ. კოლხიდელი, გ. კოკელაძე, ვ. მეგრელიშვილი, ა. ქელბაქიანი, შ. ხაჟალია, მსახიობები ი. ბალიაშვილი, ე. დადიანი, ლ. ვაშაკიძე, ე. სვანაძე, ზ. ქაფიანიძე, ნ. წიკლაური, ა. ხერხაძე.

დღეს თეატრებსა და კინოთეატრებში

ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი — პრემიერა — თეთრი ჩრდილები, **თოჯინების სახელმწიფო თეატრი** — გიქორი (დასაწყ. 11, 1 ს. და 30 წ.), ყვავი, ბუ და მელაკუდა (დასაწყ. საღ. 7 ს.).

კინოთეატრებში: **ჭუთაისი** — წითელი დარბაზი — მეცნიერების სასახლე (დოკუმენტური ფილმი, დასაწყ. 11 ს.), ახალგაზრდობა ცეცხლში (დასაწყ. 1, 3, 5, 7, 9 ს.), მწვანე დარბაზი—დიდებული შვიდეული (I და II სერია, დასაწყ. 12, 2, 4, 8, 10 ს.); **26 კომისრის სახელობის** — [illegible] 15 წ.); **ქრონიკა** — ბოტვინიკი-პეტროსიანი (დოკუმენტური ფილმი, დასაწყ. 12, 1, 2 ს.), ყველა შიხისაკენ (დასაწყ. 3, 5, 7, 9 ს.); **კომკავშირელი** — საბუდარელი ჭაბუკი (დასაწყ. 11, 1, 3, 5, 7, 9ს.); **კომკავშირელის ფილიალი** (გუმათჰესში) — დიდი ცხოვრება (II სერია, დასაწყ. 8 ს.); **რკინიგზის კლუბი**— ხელშეუხებელი (I და II სერია, დასაწყ. საღ. 8 ს.).